

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის ანალიზი,
პრობლემები და რეკომენდაციები

პავლე ჩუბინიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის
შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობის MBA) მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ნარჩენების მართვა პირდაპირ არის დაკავშირებული კაცობრიობის განვითარების ისტორიასა და ევოლუციასთან. მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად საგრძნობლად იზრდება ნარჩენების რაოდენობა. შესაბამისად, იზრდება ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების მოცულობა, იხურება და იხსნება ახალი ნაგავსაყრელები, რომლებიც ქვეყნის დიდ ტერიტორიებს იკავებენ (Miller & Spoolman, 2014).

დღეს მსოფლიო საზოგადოება აღიარებს, რომ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა სულ უფრო შემაშფოთებელი ხდება და უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ასეთი დიდი რაოდენობით ნარჩენების დაგროვება, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს მდგომარეობას (მწვანეთა მოძრაობა, 2013).

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოში არსებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის ანალიზი, არსებული პრობლემების და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, იმ ბარიერების მიმოხილვა, რომლებიც ხელს უშლიან ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ეფექტურ განხორციელებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

ნარჩენი - ეს არის არის ადამიანის მიერ თავის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებისას ნაწარმოები „გარდაუვალი“ პროდუქტი (Eriksson et al., 2005). საქართველოში ნარჩენების მართვა არამიზანშეწონილი მეთოდებით მიმდინარეობს, როგორც არის ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და ღია სივრცეში წვა. არ გვაქვს ნაგავსაყრელების ეფექტური სისტემა, რომელიც მოიცავს ქვეყნის მთელს ტერიტორიას და მოახდენს ნარჩენების ეფექტურ შეგროვებას. სოფლებში სადაც არ ხდება ნარჩენების შეგროვების და გატანის მომსახურების მიწოდება იქმნება სპონტანური, სტიქიური ნაგავსაყრელები, მოსახლეობა ნარჩენებს განათავსებს მდინარის გასწვრივ ხევებში, გზებზე. ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი, ამიტომ

ადამიანებს და ცხოველებს თავისუფლად შეუძლიათ შესვლა მათ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფრთხეს ქმნის (აუდიტის სამსახური, 2015).

ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სისტემის გაუმართაობა გამოწვეულია ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობითა და დაფინანსების სიმცირით. დაფინანსების წყაროს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტი და მუნიციპალური დასუფთავების მოსაკრებელი წარმოადგენს, ეს თანხა კი არ არის საკმარისი ყველა სოფლის მომსახურებისათვის. არ მიმდინარეობს ნარჩენების წინასწარი მოცულობისა და შემადგენლობის განსაზღვრა, ეს ყველაფერი ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ნარჩენების მართვის შემდგომი პროცესების დანერგვას. ქვეყანაში არ გვაქვს ისეთი ნაგავგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც უშუალოდ ნაგავსაყრელიდან მოახდენდა ნარჩენების მიღება-გადამუშავებას. მოსახლეობის ცნობიერების დონე არის დაბალი, მათ არ მიეწოდებათ ინფორმაცია ნარჩენების არასწორად განთავსების შედეგად გამოწვეული დაბინძურების ზეგავლენის ან თუნდაც ნარჩენების, როგორც მეორადი ნედლეულის ღირებულების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი თავის გავლენას ახდენს ნარჩენების მართვის თითოეული ეტაპის და ზოგადად სისტემის მუშაობის ეფექტურობაზე.